ხელშეკრულება № 19/2018
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 19 დეკემბერი 2018 წ.

ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება:

ერთი მხრივ, სსიპ საპენსიო სააგენტო, (შემდგომში - „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის **ლევან სურგულაძის** სახით და მეორე მხრივ, შპს მაიფონის (შემდგომში - „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი დალაქიშვილი** სახით, ამ ხელშეკრულების ტექსტში ერთად წოდებული - „მხარეები", ხოლო ცალ-ცალკე - „მხარე", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძველი**

1.1 ხელშეკრულების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს: ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტი და საქართველოს სხვა შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 2 ერთეული სვიჩის Trendent TPE-5028WS და 1 ერთეული პაჩ პანელი 48 პორტი TC-P48C6 (CPV-32420000) შესყიდვა (შემდგომში - „საქონელი").

3. **ხელშეკრულების ღირებულება**

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2780 (ორიათასშვიდასოთხმოცი) ლარს(1 ერთეული სვიჩის ღირებულებაა 1300 ლარი, 1 ერთეული პანჩ პანელის ღირებულებაა 180 ლარი).

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით „მიმწოდებლის" მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. **საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა**

4.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მისამართზე ყიფშიძის 7ბ.

4.2 ხელშეკრულებით 3.1 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან (მასზე „მხარეთა“ ხელმოწერიდან) 2018 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მიღება-ჩაბარება განხორციელდება „მხარეთა“ ან მათ მიერ გამოყოფილი უფლებამოსილი პირების მიერ „მიღება-ჩაბარების აქტის“ გაფორმებით დანართის შესაბამისად.

5.2 ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ხელმოწერილი (გაფორმებული), „მიღება-ჩაბარების აქტის“ საფუძველზე, „მიმწოდებელი“ წარუდგენს „შემსყიდველს“ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში, ხოლო თუ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადამხდელი, იგი წარმოადგენს კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემულ ცნობას, რომ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადამხდელი და ინვოისს, რის საფუძველზეც წერილობითი ფორმით ფორმდება „მიღება-ჩაბარების აქტი“, „მხარეთა“ ან მათ მიერ გამოყოფილი უფლებამოსილი პირების ხელის მოწერით.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1 „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

6.2 ანგარიშსწორების საფუძველია „მხარეების“ ან მათ მიერ გამოყოფილი უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული „მიღება-ჩაბარების აქტი“ და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადამხდელი, კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემულ ცნობა, რომ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადამხდელი და ინვოისი.

6.3 „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება ამ ხელშეკრულების 5.1 და 5.2 პუნქტებით გათვალისწინებული პირობების შესრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.4 „მიღება-ჩაბარების აქტის“ და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (თუ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადამხდელი, კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ცნობის, რომ „მიმწოდებელი“ არ არის დღგ-ს გადამხდელი და ინვოისის) წარმოდგენის გარეშე, ანგარიშსწორება არ განხორციელდება.

6.5 ამ ხელშეკრულების ფარგლებში ავანსი არ გაიცემა.

7. „მხარეთა“ უფლება-მოვალეობები

7.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

7.1.1 ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი;

7.1.2 განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე;

7.1.3 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებები.

7.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1 მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
7.2.2 შეასრულოს ამ ხელშეკრულებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.
7.3. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:
7.3.1 მოსთხოვოს „შემსყიდველს“ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7.3.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებები.
7.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.4.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
7.4.4 მიაწოდოს საქონელი „შემსყიდველს“ სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში და პირობებით, რომელიც განსაზღვრულია ამ ხელშეკრულებით;
7.4.5 მიწოდებულ საქონელზე აღმოჩენილი ნაკლი ან დეფექტი გამოასწოროს 3 სამუშაო დღეში
7.4.6 მიწოდებულ საქონელზე იძლევა გარანტიას 1 წლის ვადით და ამ ვადაში გაუწიოს საგარანტიო მომსახურება.
7.4.7 შეასრულოს ამ ხელშეკრულებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

8. ხელშეკრულების კონტროლი

8.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია, ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი დაავალოს როგორც „შემსყიდველი“ ორგანიზაციის თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს, ასევე ნებისმიერ სხვა პირს.
8.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების ფუნქციაა მოწოდებული საქონლის რაოდენობის, „მიმწოდებლის“ სხვა ვალდებულების შესრულების ხარისხის და ვადების დაცვის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.
8.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.
8.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია, ხელი შეუწყოს და „შემსყიდველს“ შეუქმნას საჭირო პირობები ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის ჯეროვანი და შეუფერხებელი განხორციელების მიზნით.
8.5 ყველა გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრასთან და მათზე ხელახალ კონტროლთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

9.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია, დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს მეორე „მხარეს“ შესაბამისი ინფორმაცია.

9.2 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის“ პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, მხაერთა უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის, რომელიც ჩაითვლება ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. კონფიდენციალობა

10.1 ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ასევე, მისი დამთავრების შემდეგაც „მხარეები“ დაიცავენ და არ გაამჟღავნებენ ამ ხელშეკრულების ფარგლებში მიღებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას (ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ზოგადად არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი და რომლის შესახებაც „მხარეებისთვის“ ცნობილი გახდა ან/და რომელზეც მათ ხელი მიუწვდებათ ამ ხელშეკრულების საფუძველზე. ამასთან, „მხარეები“ თანხმდებიან, რომ კონფიდენციალური ინფორმაცია გულისხმობს მის ფართო განსაზღვრებას და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ასევე ნებისმიერი ფორმატის და შინაარსის: იდეას, მეთოდს, პროცესს, სისტემას, საშუალებას, კონცეფციას, პრინციპს, მოწყობილობას, სერვისს, გეგმას, სტრატეგიას, აღმოჩენას, ფაქტს, გარემოებას და დოკუმენტს. ასევე, „მხარეებთან“ დაცულ, მიღებულ, დამუშავებულ, შექმნილ ან/და გაგზავნილ ინფორმაციას, რომელიც შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ, კომერციულ ან საბანკო საიდუმლოებას ან/და პერსონალურ მონაცემებს), გარდა საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებით ხელშეკრულების „მხარისათვის“ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძველს.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან (მასზე „მხარეთა“ ხელმოწერიდან) და მოქმედებს 2019 წლის 25 იანვრის ჩათვლით.

12. „მხარეთა“ პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დათქმულ ვადებში შეუსრულებლობისათვის, დამრღვევ „მხარეს“ ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ გადააცილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადას 10 (ათი) კალენდარული დღით, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ ჯარიმის სახით ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის გადახდა.

12.3 ამ მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს და/ან საჯარიმო სანქციების გარდა, თითოეული „მხარე“ ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე „მხარეს“ ვალდებულებათა შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანი, ამ ხელშეკრულებით და/ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად.

12.4 ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება არ ათავისუფლებს „მხარეს“ ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან და/ან დარღვევათა აღმოფხვრისაგან, ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში. ამ პუნქტის მიზნებისათვის, ხელშეკრულების ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, „მხარეს“ უფლება აქვს მოითხოვოს ვალდებულების შესრულება/დარღვევის გამოსწორება ან/და ზიანის ანაზღაურება.

12.5 ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე იქნეს შეწყვეტილი „მხარეთა“ წერილობითი შეთანხმებით.

12.6 „მხარის“ მიერ განსაზღვრულ დამატებით ვადაში დამრღვევი „მხარის“ მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა, ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევა, რომელიც გამორიცხავს დარღვევის გამოსწორებისათვის დამატებითი ვადის დაწესებას ან ხელშეკრულების პირობების განმეორებითი დარღვევა ან/და დამატებით ვადაში პირგასამტეხლოს/ჯარიმის გადაუხდელობა, „მხარეს“ ანიჭებს უფლებას, წინასწარი (10 (ათი) კალენდარული დღით ადრე) წერილობითი შეტყობინების გაგზავნით, ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულების შემწყვეტ „მხარეს“ პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

12.7 ხელშეკრულების ცავლმხრივად შეწყვეტისას „მხარეები“ ვალდებულნი არიან კეთილგონიერების ფარგლები გამოიჩინონ მზრუნველობა მეორე „მხარის“ უფლებებისა და ინტერესების მიმართ.

12.8 ხელშეკრულება ასევე წყდება მისი მოქმედების ვადის გასვლისთანავე.

13. ფორს–მაჟორი (დაუძლეველი ძალა)

13.1 ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს–მაჟორი (დაუძლეველი ძალა) ნებისმიერ „მხარესთან“ მიმართებაში ნიშნავს ისეთ შემთხვევას ან გარემოებას, რომელიც ასეთი „მხარის“ კონტროლის ფარგლებს მიღმაა და რომელიც, მიუხედავად „მხარის“ ყველა გონივრული მცდელობისა, მაინც ვერ იქნა თავიდან აცილებული ან მოგვარებული და რომელიც გადაიზრდება ან გამოიწვევს ასეთი „მხარის“ მიერ ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობას. ამგვარ გარემოებებს განეკუთვნება ომი, სამოქალაქო დაპირისპირებები, აჯანყებები, გაფიცვები, ტერორისტული აქტები, საერთაშორისო ემბარგოები, გადატრიალება, სტიქიური უბედურებები (ქარიშხალი, წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, მეწყერი, დიდი ტალღები და ა.შ), სხვა გლობალური ხასიათის ტექნიკური/საოპერაციო პრობლემები, ასევე, სამთავრობო სტრუქტურების გადაწყვეტილებები და ბრძანებები, რომელთა გამოც „მხარეების“ მიერ ამ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ობიექტურად შეუძლებელი ხდება.

13.2 „მხარე“, რომელიც ვერ ასრულებს მის ვალდებულებებს ფორს-მაჟორული გარემოების გამო, ვალდებულია აცნობოს მეორე „მხარეს“ ხსენებული გარემოების და მოვლენის, როგორც დადგომის, ასევე შეწყვეტის შესახებ არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა მისი დადგომიდან ან შეწყვეტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, „მხარე“ კარგავს უფლებას,

მიუთითოს აღნიშნულ მოვლენებზე და გარემოებებზე, როგორც ვალდებულებების შესრულების სრული ან ნაწილობრივი შეუძლებლობის გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველზე. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს მოვლენის ან გარემოების აღწერა და მათი ზეგავლენა ამ „მხარის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე, ისევე, როგორც ასეთი ვალდებულებების შესრულების დაგვიანების მოსალოდნელ ვადაზე. ამასთან თითოეულმა „მხარემ" უნდა:

ა) გამოიყენოს მთელი ძალისხმევა, რათა თავიდან აიცილოს, შეამციროს ან შეასუსტოს დაუძლეველი ძალის გარემოებით გამოწვეული შედეგები;

ბ) გამოიყენოს მთელი ძალისხმევა, რათა უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების ჩვეულებრივ რეჟიმში შესრულება დაუძლეველი ძალის ნებისმიერი გარემოების შეწყვეტის შემდეგ და უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულებები, რამდენადაც ეს იქნება შესაძლებელი „მხარეთათვის";

გ) თავისი შესაძლებლობის ფარგლებში მიიღოს ყველა ზომა იმისათვის, რომ შეამციროს „მხარეებისადმი" ზიანის ოდენობა, რომელიც გამოწვეულია დაუძლეველი ძალით.

13.3 თითოეულ „მხარეს" ეპატიება მის მიერ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება და ამის საფუძველზე არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა, თუ აღნიშნული ვალდებულების შესრულების სრული ან ნაწილობრივი შეუძლებლობა დამდგარია დაუძლეველი ძალის გარემოებების ან მათგან გამომდინარე შედეგების გამო. ამასთან, ვალდებულებების შესრულება გადავადდება ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის ვადით.

13.4 ფორს-მაჟორული გარემოებების 1 (ერთი) თვეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში „მხარეები" უფლებამოსილნი არიან განიხილონ ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი.

13.5 ფორს-მაჟორული გარემოებები დადასსტურებული უნდა იოქნეს უფლებამოსილი სტრუქტურის (ორგანოს) მიერ გაცემული ცნობით.

14. პრეტენზიები და დავები

14.1 დავის წარმოშობის შემთხვევაში, „მხარეები" შეეცდებიან გადაჭრან აღნიშნული დავა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

14.2 ხელშეკრულებიდან გამომდინარე პრეტენზიები „მხარეებმა" შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. პრეტენზიის მიმღები „მხარე" ვალდებულია პრეტენზიის მიღებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში განიხილოს პრეტენზია და თავისი გადაწყვეტილება წერილობით შეატყობინოს მეორე „მხარეს".

14.3 თუ მეორე „მხარის" მიერ შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში ვერ მოხერხდა ურთიერთშეთანხმების მიღწევა, „მხარეებს" უფლება აქვთ მიმართონ საქართველოს სასამართლოს.

14.4 „მხარეებს" შორის დავა სასამართლოში განიხილება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ურთიერთ შეტყობინებები

15.1 „მხარეთა" შორის ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობით ან ამ

მუხლით გათვალისწინებული სხვა ფორმით. წერილობითი შეტყობინება „მხარეს“ უნდა გადაეცეს უშუალოდ ან ამ ხელშეკრულებაში მითითებულ „მხარის“ მისამართზე ჩაბარების გზით. „მხარეს“ შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც (მათ შორის: ელექტრონული).

16. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

16.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში „მხარეები“ წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნონ ერთმანეთს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა „მხარემ“ 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე „მხარეს“ თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
16.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო „მხარეები“ შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

17. ხელშეკრულების ენა

17.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება „მხარეთა“ შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

18. დასკვნითი დებულებები

18.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხები რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
18.2 „მხარეები“ ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს „მხარეთა“ ნებას და მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან. ამასთან, „მხარეები“ ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით, რომლის ფარგლებში ისინი ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის საქმიან რეპუტაციას.
18.3 ერთ-ერთი „მხარის“ მხრიდან ხელშეკრულების ან/და საქართველოს კანონმდებლობის სრულად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე „:მხარის“ მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება ხელშეკრულების ან/და საქართველოს კანონმდებლობის ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე.
18.4 ხელშეკრულების რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი ან ხარვეზიანი დებულების ნაცვლად, გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობის ნორმები.
18.5 ხელშეკრულებაში მხოლობით რიცხვში გამოყენებული სიტყვები გულისხმობს მრავლობითსაც და პირიქით.
18.6 ხელშეკრულების, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია, დასათაურებულია

და განლაგებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს ხელშეკრულების ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

18.7 წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებს შორის წინააღმდეგობის ან შეუსაბამობის არსებობისას, უპირატესობა მიენიჭება საქართველოს კანონმდებლობის დებულებებს.

18.8 „მხარეები" თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების დებულებ(ებ)ის არსებობა/არარსებობასთან, მათ შინაარსთან, განმარტებასთან ან/და განხორციელებასთან დაკავშირებით „მხარეთა" შორის დავის წარმოშობის გამორიცხვის მიზნით, „მხარე" ვალდებულია ხელი მოაწეროს ხელშეკრულების მეორე „მხარესთან" დაცული ეგზემპლარის თითოეულ გვერდს და პირიქით, რაც ნიშნავს, რომ „მხარეები" ეთანხმებიან ხელშეკრულების შესაბამის გვერდზე მოცემულ ყველა პირობას.

18.9 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად.

18.10 ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი გადაეცემა „მხარეებს".

19. „მხარეთა" რეკვიზიტები (საკორესპონდენციო მონაცემები) და ხელმოწერები

19.1 „შემსყიდველი":

სსიპ საპენსიო სააგენტო
თბილისი: ყიფშიძის7ბ
საინდიფიკაციო კოდი 205364407
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22

19.2 „მიმწოდებელი":

შპს მაიფონი
თბილისი თამარაშვილის ქ 13 ო
საინდიფიკაციო კოდი 205270473
ლიბერთი ბანკი LBRTGE22
ანგ. **GE72LB0113126280222000**

19.3 „მხარეები" ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ შეატყობინონ ერთმანეთს ამ მუხლში მითითებული რეკვიზიტების ცვლილების შესახებ და ისინი, ცვლილების/დამატების სახით დადგენილი წესით ასახონ ამ ხელშეკრულებაში.

ლევან სურგულაძე
დირექტორი

გიორგი დალაქიშვილი
დირექტორი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

19 დეკემბერი 2018 წელი

მე, ქვემოთ ხელის მომწერი ვადასტურებ, რომ სსიპ საპენსიო სააგენტოს საჭიროებისათვის 2018 წლის დეკემბერს გაფორმებულ N9/2018 ხელშეკრულებაზე შპს მაიფონთან 2 ერთეული სვიჩის და 1 ერთეული პაჩ პანელი 48 პორტიანის შესყიდვაზე (CPV32420000) ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის „ე" ქვეპუნქტის მოთხოვნებს.

ლევან სურგულაძე